რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“?

მთარგმნელი: თამარ გოგია

რაფაელ ჯ. ჰეფრონი - *ჟან მონეს პროფესორი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამართლის დარგში, ლონდონის ქვინ მერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი;*
დარენ მაკკოლი - *გეოგრაფიისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი, სენტ ენდრიუს უნივერსიტეტი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი.*

მოკლე მიმოხილვა

„სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. ამ კრიტიკულ მიმოხილვაში გაანალიზებულია როგორც ეს საკითხი, ისე მისი ურთიერთგადაკვეთა კლიმატურ, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის ლიტერატურასთან. ერთმანეთისგან იზოლირებულ კლიმატის, ენერგო და გარემოსცდაცვით სამეცნიერო ჯგუფებში, დიდია აცდენა „ტრანზიციისა“ და „სამართლიანობის“ მნიშვნელობების გაგებასთან დაკავშირებით. ამ ცნებათა გაგება კი სწორედ „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის ფარგლებში უნდა მოხდეს. იმისათვის, რომ გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება და მიმღებლობა სამართლიან ტრანზიციასთან მიმართებაში, ზემოთხსენებულმა კვლევითმა ჯგუფებმა განცალკევებულად კი არ უნდა იმუშაონ, არამედ უნდა გაერთიანდნენ.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანი ტრანზიცია, გარემოსდაცვითი სამართლიანობა, ენერგო-სამართლიანობა, კლიმატური სამართლიანობა, სამართლებრივი გეოგრაფია.

1. შესავალი

რა არის „სამართლიანი ტრანზიცია“?

კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით (CEE[1]) სამეცნიერო ჯგუფებში ტრანზიცია სხვადასხვა რამეს ნიშნავს, ვინაიდან ყოველი მათგანი „სამართლიანობას“ სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს და მოიაზრებს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა დაუჭიროს მხარი საზოგადოებამ დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლას, ანუ „სამართლიან ტრანზიციას“, როდესაც “სამართლიანობის“ მნიშვნელობის შესახებ არაერთგვაროვანი წარმოდგენები არსებობს? ამ სამ კვლევით სფეროს თავ-თავისი „სამართლიანობის სამეცნიერო მიმართულება“ აქვს - გარემოსდაცვითი სამართლიანობა (Capek, 1993; Walker and Buckeley, 2006), კლიმატური სამართლიანობა

[1] აბრ climate, energy, and environmental

(Caney, 2014) და ენერგო-სამართლიანობა (McCauley et al., 2013). სამართლიანობის ეს სამი ფორმა ყველაზე მარტივად შესაძლოა შემდეგნაირად განვმარტოთ: (1) კლიმატური სამართლიანობა დაინტერესებულია, კლიმატური ცვლილებების ხარჯზე მიღებული სარგებელი თუ შესაბამისი ვალდებულებები განაწილდეს ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან; (2) ენერგო-სამართლიანობა ადამიანის უფლებების დაცვას ენერგო განვითარების ციკლის (დასაწყისიდან დასასრულამდე) პერსეპქტივით აფასებს; ხოლო (3) გარემოსდაცვითი სამართლიანობა მიზნად ისახავს თავის მხრივ უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის თანაბარუფლებიანობა და მათი ჩართულობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის, კანონისა და რეგულაციების შემუშავებასა და აღსრულებაში. ამ პერსპექტივების გაერთიანებისათვის დღესდღეობით ძალიან ცოტა კვლევითი სამუშაოა ჩატარებული, ჩვენ კი შევიმუშავეთ „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება, რომელიც სამივე პერსპექტივას აერთიანებს.

ტრანზიციასთან დაკავშირებული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვისას ჩვენ ცხადვყოფთ, თუ როგორ აფერხებენ კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მკვლევრები სამართლიანი ტრანზიციის ერთიანი გაგების დამკვიდრების მცდელობებს. დროისა და სივრცის გათვალისწინებით, საჭიროა იმის გაცნობიერება, თუ როდის უნდა დამკვიდრდეს სამართლიანობის კონცეფციები კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სამეცნიერო კვლევებში. ჩვენ წამოვაყენეთ მოსაზრება, რომ სამართლებრივი გეოგრაფიის ახლადგანვითარებული სფერო სამართლიანობის კონცეფციისადმი ინტერდისციპლინური სამეცნიერო მიდგომის შესაძლებლობას იძლევა. ეს დარგი ითვალისწინებს სამართლიანობის როგორც დრო-სივრცით კატეგორიებს, ისე მის დამოკიდებულებას კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების მიმართ (მაგალითისათვის იხ. : Blacksell et al., 1986; Delaney, 2003; Blomley, 1994). საბოლოოდ კი, სამართლიანობის ამ სამმა ფორმამ საზოგადოებასთან უფრო ცხადი კავშირი უნდა დაამყაროს „სამართლიანი ტრანზიციის“ კონცეფციის საშუალებით. ეს კი წინ მიმავალი ბილიკია, რომლის გაკვალვასა და ჩვენებასაც ჩვენ შევეცდებით.

2. რატომ გვჭირდება გაერთიანებული „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება?

ბევრი მიზეზი არსებობს, თუ რა საჭიროა გაერთიანებული „სამართლიანი ტრანზიციის“ ცნება და ამ მიზეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქვემოთ დეტალურადაა განხილული. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების კვლევისას მნიშვნელოვანია მსოფლიოს რეალობის გაცნობიერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლევა საჭიროებს გლობალურ პერსპექტივას, ვინაიდან მხოლოდ ადგილობრივ დონეზე განხორციებულ ქმედებებსაც კი აქვს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შედეგები. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების კვლევისას ეს საკითხი ბოლოს ჯულიენ აგიმენთან (2014) გამოიკვეთა, იმის აღიარებით, რომ გარემოსდაცვითი სამართლიანობის მკვლევრებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი კვლევითი სფეროს არამხოლოდ

სამოქალაქო უფლებებზე დაფუძნებული ან ლოკალური ფოკუსი, არამედ მისი გლობალურობა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულობა. იგივე ეხება ენერგო-სამართლიანობის მკვლევრებსაც (Heffron and McCauley, 2017). ფორსაიზმაც (2014) ამგვარადვე მოუწოდა კლიმატური სამართლიანობის მეცნიერებსაც, იქონიონ მეტად გლობალური პერსპექტივა.

დროისა და სივრცის განზომილებების გათვალისწინებით, მსოფლიოს სხვადასხვა ადგილში მოვლენები უკიდურესად დაჩქარებულია, რასაც ისიც მოწმობს, რომ დღესდღეობით ძალიან ბევრი საზიანო მოვლენა იჩენს თავს. მაგალითად, 2016 წელს კლიმატურმა ცვლილებამ შვიდ შემთვევაში გადააჭარბა რეკორდულ მაჩვენებელს. „სამართლიანი ტრანზიცია“ მაშინაა სამართლიანი, როდესაც საზოგადოება კარბონ დიოქსიდის (CO2) გამოყოფისგან თავისუფალ ეკონომიკაზე გადადის. სამართლიანობა ტრანზიციის უმნიშნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მთავრობები, კომპანიები, ინსტიტუტები და მკვლევრები ხშირად კი მსჯელობენ „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე ტრანზიციის“ შესახებ, თუმცა მათ რიტორიკაში „სამართლიანობის“ ხსენებაც კი არ არის.

თუმცა ისიც დამტკიცებულია, რომ წიაღისეული საწვავიდან საზოგადოებრივი ტრანზიცია საკმაოდ რთული და შენელებული პროცესია. მაგალითად, 2016 წელს დიდ ბრიტანეთში სწორედ წიაღისეული საწვავი აკმაყოფილებდა პირველადი ენერგიის საჭიროებების 81.5%-ს, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით მხოლოდ ნახევარი პროცენტითაა ნაკლები (Carbon Brief, 2017). ბრიტანეთის მიერ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ჩადებულ კაპიტალდაბანდებას და სხვა ქვეყნებისთვის გაწეულ დახმარებას თუ შევხედავთ, ამ სფეროში 2016 წელს 18.6 ბილიონი გირვანქა სტერლინგი (ქვეყნის მთლიანი კაპიტალდაბანდების 10.3%) ინვესტირდა. აქედან 34% დაბანდდა ნავთობისა და გაზის მოპოვებაში, 54% - ელექტროენერგიაში, 11% - გაზში, დანარჩენი კი - კოკსისა და რაფინირებული ნავთობის ინდუსტრიასა და ნახშირის მოპოვებაში (BIES and UKSA, 2017). მაშინ როცა ელექტროენერგიაში კაპიტალდაბანდების წილი დეტალურად არ არის წარმოდგენილი და იმის გათვალსწინებითაც, რომ ამ სექტორის უმთავრეს ნაწილს (54%) წიაღისეული საწვავი წარმოადგენს (BIES and UKSA, 2017), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოხსენებული კაპიტალდაბანდების ძირითადი ნაწილი სწორედ რომ წიაღისეულ საწვავზე მოდის. გარდა ამისა, ბრიტანეთის მიერ წიაღისეული საწვავის უწყვეტი მხარდაჭერის ნათელი მაგალითია მისივე საგარეო კაპიტალდაბანდების პოლიტიკა: განვითარებადი ქვეყნების დახმარების ფარგლებში წიაღისეული საწვავის პროგრამების წილი დაახლოებით ორჯერ აღემატება სხვა დანარჩენს (CAFOD, 2017).

გლობალურად თუ შევხედავთ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს პრობლემები, რომლებიც გარდაუვალ ცვლილებებს საჭიროებს. მაგალითად, 2016 წელს კლიმატურმა ცვლილებამ შვიდ შემთვევაში გადააჭარბა რეკორდულ მაჩვენებელს: არქტიკული ყინულის დნობა; უწყვეტი ყველაზე ცხელი თვეები; ყველაზე ცხელი დღე ინდოეთში;

ალასკაზე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ტემპერატურა; კარბონ დიოქსიდის (CO2) წლიური ზრდის უწყვეტი და ყველაზე დიდი მაჩვენებელი; ყველაზე ცხელი შემოდგომა ავსტრალიის ისტორიაში და დიდი ბარიერული რიფის დაზიანების უმაღლესი მაჩვენებელი (The Guardian, 2016). გარდა ამისა, ქვანახშირის ქარხნების მშენებლობა მზარდია, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. გლობალურ ენერგეტიკულ სისტემაში წიაღისეული საწვავის მართლაც ჭარბი რესურსი არსებობს (Figueres et al., 2017). სწორედ ამიტომ, საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს აღიარება, რომ ტრანზიცია დაჩქარებული წესით უნდა განხორციელდეს, მიუხედავად იმისა, რომ ნორმა ნელი ტრანზიციაა (Figueres et al., 2017).

ტრანზიციის ერთ-ერთი პრობლემა კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების კვლევითი ფოკუსი და თავად ტრანზიციის ეკონომიკური პერსპექტივაა. ტრადიციულმა ეკონომიკამ საზოგადოებას ვერ მოუტანა დადებითი, „სამართლიანი“ შედეგები. მან მხოლოდ საზოგადოებრივ უთანასწორობას თუ შეუწყო ხელი. ტრადიციული ეკონომიკის ფარგლებში კი შენარჩუნებულია ის ნეოკლასიკური ფილოსოფიური სკოლა, რომელიც კვლავაც დომინირებს ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებაზე. ეს კი, თავის მხრივ, აისახება წიაღისეული საწვავის მკვლევრების მიერ ჩატარებულ კვლევებზე (Rist, 2016).

ზემოქმულიდან გამომდინარე ისმის კითხვა, თუ რატომ არ გატარებულა მეტი რეფორმა ამ მიმართულებით? თუ რატომ ვერ გასცდა საზოგადოება ეკონომიკით ნაკარნახევ ტრანზიციას? პასუხთა ერთი ნაწილი სავსებით ცხადია: საზოგადოებისთვის, რომელიც ძალაუფლების მქონე ელიტების პრობლემის წინაშე დგას, რთულია ამგვარ რეფორმასთან შეჭიდება. მაგალითად, ფინანსური სისტემების რეფორმირების ჩავარდნამ 2007-2009 წლების პოსტ-კრიზისულ მოცემულობაში ცხადყო საზოგადოების მზაობა, შეეგუოს მიმდინარე მზარდ პოლიტიკურ წარუმატებლობას. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი პოლიტიკის მზარდი წარუმატებლობის შემთხვევაშიც შეგვიძლია ცხადი პარალელების გავლება, თუ რის მიმართ იქნება საზოგადოება მიმღებლური. ამის მაგალითია ბოლოდროინდელი საერთაშორისო დებატები და რიტორიკის ცვლილება, რომლის მიხედვითაც დღესდღეობით „გაზი“ კლასიფიცირდება, როგორც „უფრო სუფთა საწვავი“, ანდაც „ტრანზიციული საწვავი“ და ენერგიის დაბალნახშირბადიანი წყარო.

თუმცა, ტრადიციული ეკონომიკით ნაკარნახევი პოლიტიკის წარმოებისა და მკვლევართა ელიტური ჯგუფების ძალაუფლებრივი გავლენისდა მიუხედავად, ეს გამოწვევები გადალახვადია. უნდა გაცნობიერდეს, რომ ეს ორი ჯგუფი დღემდე წარმატებულად ახერხებს თავიანთი კვლევების სიცხადისა და გამჭვირვალობის შესახებ შექმნილი წარმოდგენის შენარჩუნებას, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათი ნაშრომებისადმი მიმღებლობას და მათ გაგებას საზოგადოების მხრიდან. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით კვლევით სფეროებში ჩართული განსხვავებული ჯგუფების უმრავლესობა, რომელთაც დაბალნახშირბადიანი ეკონომიკისკენ სწრაფვის საერთო მიზანი ამოძრავებთ, სამწუხაროდ, თავ-თავიანთ ცნებებს განცალკევებულ

კონსტრუქციებად განიხილავს, იმის მიუხედავად, რომ დრო და სივრცე მუდმივი ევოლუციის პროცესშია. და მართლაც, დროა მეტი მივუშაოთ იმისათვის, რომ კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებში სამართლიანობაზე ორიენტირებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ გაერთიანებული პერსპექტივა შევქმნათ. ეს კი სწორედაც რომ „სამართლიანი ტრანზიციის" კონცეფციით არის მიღწევადი.

3. კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის გაერთიანება „სამართლიანი ტრანზიციის" კონცეფციის ქვეშ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებს სამართლიანობის თავ-თავიანთი ფორმები აქვთ. ყოველი კონცეფცია თავიანთივე სფეროს მკვლევრების მიერ საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა დღესდღეობით სამართლიანობის ამ სამი ფორმის დაკავშირების კუთხით მცირედი კვლევითი სამუშაოა შესრულებული. სამართლიანი ტრანზიციის მიდგომა ტრანზიციის პროცესში თავს უყრის ყველა ტიპის წარმომადგენელს. ეს სტატია იცავს იმ მოსაზრებას, რომ სამართლიანი ტრანზიციის კონცეფცია უზრუნველყოფს მეტად ინკლუზიურ მიდგომას და კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებს სისტემური და სტრუქტურული სახით გაერთიანებას. მეტიც, სამართლიანი ტრანზიცია არის კონცეფცია, რომელშიც ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია მონაწილეობის მიღება, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი გათვითცნობიერებულნი სამივე (კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი) სამართლიანობის ფორმებში.

საჭიროა სამართლიანი ტრანზიციის შესახებ დებატები, დისკუსიები, მისი კვლევა და ამოქმედება. მსოფლიოს მასშტაბით მთავრობები იყენებენ ტერმინს „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე ტრანზიცია" (ან მსგავსი გავლენის მქონე სიტყვებს). ეს ტერმინი პოპულარიზებულია სტატუს-კვოს მიერ ე.ი. საზოგადოებაში დომინანტური პოზიციის მქონეთა მიერ. ეს იმიტომაც ხდება, რომ „დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე ტრანზიცია" ახლაც და მომავალშიც მხოლოდ შენელებული ტრანზიციის შესაძლებლობას იძლევა და მხოლოდ ისეთი ფორმით, რომელიც სტატუს-კვოს შეუწყობს ხელს. შედეგად კი გამოიწვევს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შენარჩუნებას.

„სამართლიანი ტრანზიციის" სარგებელი მის მიზანში მდგომარეობს, შეამციროს უთანასწორობა თანამედროვე საზოგადოებაში, რასაც აღწევს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებში სამართლიანობის კონცეფციის დამკვიდრების საშუალებით. საზოგადოებრივი უთანასწორობა მზარდია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და დღესდღეობით სხვადასხვა დისციპლინისათვის სწორედ ეს არის მთავარი კვლევითი გამოწვევა (see: Stiglitz, 2012; Piketty, 2015; Scheidel, 2017; Atkinson, 2015). რამდენადაც უთანასწორობა საზოგადოებებში დღემდე მზარდია, მისი გამოსწორების მიზნით გატარებული პოლიტიკური რეფორმები პოლიტიკის წარუმატებლობის ცხადი მაგალითია. სამართლიანი ტრანზიციაზე დაფუძნებულ მეცნიერებას შეუძლია

პოლიტიკის ამ წარუმატებლობის გამოსწორება და სამეცნიერო წვლილის შეტანა უთანასწორობის შემცირების საქმეში. ამის სანიმუშო მაგალითია წამყვანი ეკონომისტი ტომას პიკეტი, რომელმაც მკვლევართა ჯგუფთან ერთად გამოააშკარავა, რომ არსებობს კავშირი კარბონ დიოქსიდის (CO2) გამოყოფის ზრდასა და საზოგადოებრივ უთანასწორობას შორის (Chancel and Piketty, 2015).

"უთანასწორობის" დაძლევის საკითხი საჭიროებს, რომ სამართლიანობის სამივე სფერომ მიაღწიოს საბოლოო აშკარა შედეგებს. ამ სფეროებს უნდა ჰქონდეთ საზოგადოების მეტად ნორმატიული და ჰოლისტური აღქმა და სამართლიანი ტრანზიციის საქმეში თავიანთი კონტრიბუციასთან დაკავშირებული გეგმა. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სფეროების წარმატებულობის საკითხი ღიაა დებატებისთვის და, შესაბამისად, უნდა დავსვათ კითხვა - რა მიღწევები აქვთ მათ დღემდე? საზოგადოების უწყვეტ პრობლემებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ ამ სამ სფეროს სამართლიანობის ხელშეწყობის მხრივ დღეისათვის საკმაოდ ლიმიტირებული მიღწევები აქვს. კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უთანასწორობა და მოვლენათა საზიანო შედეგები დღემდე პრობლემაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

ამ სტატიაში წამოყენებულია მოსაზრება, რომ კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის კვლევით ჯგუფებს მეტი გავლენა ექნებათ, თუ გაერთიანებულ მიდგომებს გამოიყენებენ. ხშირ შემთხვევაში ამ პერსპექტივის მქონე ჯგუფები ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას უთანასწორობისა და უსამართლობის გამომწვევ საფუძველმდებარე მიზეზებზე. კერძოდ, ეს ცხადად ჩანს კლიმატური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მაგალითზე. ამ სფეროებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ადაპტაციას. მაგალითად, როდესაც „ცუდი მოვლენა" იჩენს თავს, მხოლოდ ამის შემდეგ მსჯელობენ პრობლემის გადაჭრის გზებზე, თუ როგორ უნდა შეამცირონ ზიანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენერგო-სამარლიანობის სფეროში მოღვაწე მკვლევართა ნაწილისთვის მაინცაა მნიშვნელოვანი უსამართლობისა და უთანასწორობის პრობლემის მოგვარება მანამ, სანამ გარკვეული შემთხვევა იჩენს თავს.

საბოლოო ჯამში, კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სფეროები უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ ისეთი „მოვლენით", რომელიც კვლევის მიზეზი ან ობიექტია. ცალკეული მოვლენისა თუ მოვლენათა რიგის კვლევის დროს კი მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დროსა და ადგილმდებარეობას. მაგალითად, დროის მხრივ საკვლევი საკითხებია ცვლილებათა „ფაზები" და ტრანზიციის „მოვლენათა ქრონოლოგია". ადგილდებარეობის მხრივ კი მნიშვნელოვანია, თუ სად იჩინა თავი ამ მოვლენებმა და რა ადგილებში გამოვლინდა უთანასწორობა და უსამართლობა.

„მოვლენათა“ ანალიზის სხვადასხვა ეტაპზე კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სხვადასხვა ფორმაა რელევანტური. თუმცა ამასთან ერთად, მეცნიერები უმთავრესად უნდა დაინტერესდნენ მოვლენათა უფრო ჰოლისტური ანალიზითა და მისი წვლილით სამართლიანი ტრანზიციის საკითხებში. ამგვარი მიდგომის თანმიმდევრობა პირველ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (დიაგრამა #1). მაგალითად, ენერგო-სამართლიანობის საჭიროება დგება მოვლენამდე ან მისი უშუალო მიმდინარეობისას და, შესაბამისად, ფოკუსი მოკლევადიანია. ამ შემთხვევაში, მთავარი მიზანია, შეიცვალოს გადაწყვეტილება იმის მიუხედავად, იჩენს თუ არა რაიმე შემთხვევა თავს კონკრეტულ ენერგო ინფრასტრუქტურულ ტერიტორიაზე. ეს დიაგრამა მხოლოდ მაგალითია, თუმცა თვალსაჩინოს ხდის, რომ კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის განსხვავებული ფორმები ტრადიციულად იქცნენ რელევანტურებად „მოვლენათა“ განვითარების სხვადახვა ეტაპისათვის. სამართლიან ტრანზიციას კი შეუძლია მეტად გაერთიანებული და სრულყოფილი პერსპექტივის შექმნა და სამივე ფორმის თანადროული გაერთიანება.

4. სამართლებრივი გეოგრაფიის პრაქტიკული გამოყენება

სამართლიანი ტრანზიციის საკითხების კვლევაში, აკადემიური ლიტერატურის თვალსაზრისით, ძირითადად ორი სფეროა ჩართული - სამართალი და გეოგრაფია. თუმცა, ის უფრო და უფრო მეტად ხდება ინტერდისციპლინური კვლევის სფერო. სამართალი დაინტერესებულია „სამართლიანობის“ კონცეფციით, ხოლო გეოგრაფია ფოკუსირდება იმაზე, თუ სად და როდის ვლინდება უსამართლობის შედეგები. ორივე დისციპლინა ტრანზიციის კვლევების მთავარი კონტრიბუტორია. ინტერდისციპლინური კვლევისას მნიშვნელოვანია დისციპლინებს შორის კავშირის დამყარება. სამართალსა და გეოგრაფიას შორის უკვე დამყარებულია ურთიერთკავშირი ახლადგანვითარებული დარგის, „სამართლებრივი გეოგრაფიის“, საშუალებით.

⇩მოვლენათა ქრონოლოგია ⇩		
(1) თავს იჩენს გეგმიური მოვლენა	(2) ვლინდება ზიანი	(3) სამომავლო ზემოქმედება (რომელიც შორეულია)
⇩	სამართლიანობის კვლევის ტიპი	⇩
(1) ენერგო-სამართლიანობა	(2) გარემოსდაცვითი სამათლიანობა	(3) კლიმატური სამართლიანობა
⇩მოვლენის დრო და ზემოქმედება ⇩		
(1) მოკლევადიანი	(2) საშუალვადიანი	(3) გრძელვადიანი
⇩სივრცე (მაგ. ადგილმდებარეობა) ⇩		
(1) ადგილობრივი	(2) ეროვნული	(3) საერთაშორისო
* ყოველ მოვლენას ექნება ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ელემენტი, თუმცა საზოგადოება უფრო მეტად იქნება ურთიერთქმედებაში ისეთ მოვლენებთან, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების სამართლიან ტრანზიციასთან დაბალნაზშირბადიან ეკონომიკაზე, რამდენადაც ეს დიდწილად მოახდენს გავლენას მათ შემოსავალსა და კეთილდღეობაზე.		

დიაგრამის განმარტება: ყოველი #1 დაკავშირებულია ერთმანეთთან, ისევე როგორც ყოველი #2 და #3.

დიაგრამა 1. მოვლენათა ანალიზი. კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის გამოყენება.
წყარო: შემუშავებულია ავტორების მიერ (2017)

სამართლებრივი გეოგრაფია უზრუნველყოფს გამოსადეგ მიდგომას სამართლიანი ტრანზიციის კვლევისათვის. სამართლებრივი გეოგრაფიის კვლევის სამიზნეა ადამიანები, სივრცე, დრო და კანონმდებლობა (Blacksell et al., 1986; Delaney, 2003; Blomley, 1994). ამ სფეროში კვლევები 1980-იანი წლებიდან დაიწყო და დღესდღეობით ის ხელახლა ცოცხლდება და ვითარდება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სადავო საკითხებისა და, შესაბამისად, სამართლიანი ტრანზიციის აქტუალობის გამო.

მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა დავიწყოთ ახალ და მეტად ფორმალიზებულ აზროვნების მიმართულებაზე (მაგ. სამართლებრივ გეოგრაფიაზე) ფიქრი არის ის, რომ კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროების მნიშვნელოვან კვლევით ლიტერატურაშიც კი არ არის მსჯელობა „სამართლიანობის“ სამართლებრივ კონტექსტზე. ხშირ შემთხვევაში, კლიმატურ, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის კვლევებში გაურკვეველია: (1) რა სახის მართლმსაჯულებაა საჭირო ან / და მოსალოდნელი; და (2) როგორ მოხდება მისი აღსრულება ან / და გამოყენება. კანონი სისტემის ფარგლებში მუშაობს და, მაგალითად, აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკაში გამოყენების გარეშე სიკეთეების სამართლიანი გადანაწილების ხელშემწყობი მართლმსაჯულება სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებს. დიდი ხანია ცხადია, რომ მკვლევრებმა მართლმსაჯულების განსხვავებული ფორმების მისადაგება ამჯობინეს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი სფეროებისთვის, რათა თავად არ შეემუშავებინათ გეგმა, თუ როგორაა შესაძლებელი არსებულ რეალობაში სამართლიანობის მიღწევა. ამგვარ კრიტიკას სხვა მკვლევრებთანაც ვხვდებით (Jamal and Hales, 2016).

ამას ქვემოთ მოყვანილი მაგალითიც მოწმობს. უნდა გავიხსენოთ, რომ გარემოსდაცვითი სამართლიანობის საწყისები აშშ-ში წამოწყებული სოციალური პროტესტიდან მოდის (Agyeman, 2014). მიიჩნეოდა, რომ სამართლიანობა დამკვიდრდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საპროტესტო ჯგუფები წარმატებას მიაღწევდნენ. ამისათვის კი ყველანაირი ძალით ცდილობდნენ სამართლებრივი ან / და პოლიტიკური ცვლილებისთვის მიეღწიათ, რამაც შედეგი გამოიღო. უნდა დავუბრუნდეთ ამ ცხად მოსაზრებებს სამართლიან ტრანზიციასთან დაკავშირებით. მეტი შედეგებია საჭირო, მაგალითად, როგორიცაა ბრიტანეთში სამართლიან ტრანზიციასთან დაკავშირებული ორი უახლესი მიღწევა: 2025 წლამდე თანდათან შეწყდება ქვანახშირის ქარხნების, ხოლო 2040 წლისთვის კი - დიზელზე მომუშავე მანქანების გამოყენება. ორივე დადებითი შედეგია დიდი ბრიტანეთის სამართლიანი ტრანზიციისათვის. შედარებისთვის კი, სამართლიანი

ტრანზიციისთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებია: (1) 2017 წელს ბრიტანეთის თემთა პალატამ განაცხადა, რომ ელექტრულ ტევადობებზე აუქციონი ტექნოლოგიური თვალსაზრისით ნეიტრალური უნდა იყოს. ეს კი წიაღისეული საწვავის სასიკეთოდ იმუშავებს, რომელიც კონკურენციაში ნაკლები ფასით შემოდის; და (2) როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრიტანეთი წიაღისეულ საწვავს საგარეო დახმარების სახელით უჭერს მხარს.

გაერთიანებული სამეფოს ზემოხსენებული მაგალითები ცხადყოფს პოლიტიკის მხრივ აშკარა დისბალანსს სამართლიანი ტრანზიციის საკითხებში. სამართლებრივი გეოგრაფიის სქემის უპირატესობა ის არის, რომ ის მკვლევარს პრობლემების იდენტიფიცირების, კვლევის ჩატარებისა და პოლიტიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს. სქემა #2 აღწერს სამართლებრივი გეოგრაფიის პერსპექტივას სამართლიან ტრანზიციასთან მიმართებით. მოცემული მონახაზი საკმაოდ მარტივია, ეს არის „სამართლიანობის“ სქემა. ის ეფუძნება სამართალსა და გეოგრაფიას და, ამასთან ერთად, კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის პრინციპებს. ქვემოთ წარმოდგენილ სქემაში ხსენებული სამართლიანობის სახეები უმრავლესობისთვის ნაცნობია. ისინი მოცემულ ტექსტშიც არის ახსნილი. სამომავლო კვლევა მათ უფრო დეტალურად განსაზღვრავს, როდესაც ისინი უშუალოდ სამართლიან ტრანზიციას დაუკავშირდებიან.

5. სამართლიანი ტრანზიციის სამომავლო განვითარებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები

კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობისა და სამართლიანი ტრანზიციის ევოლუციაზე ფიქრისას, ცხადი ხდება, რომ საჭიროა გარკვეულ ქმედებებს გაზომვადი შედეგები მოჰყვეს. სამართლიანობის ამ ფორმათა უმეტესობის საზომი რაოდენობრივად გაზომილი არ არის. თუმცა მათი შეფასება შესაძლებელია იმის მიხედვით, გამოიწვევს თუ არა ეს ქმედებები პირდაპირ ცვლილებას საკანონმდებლო სივრცესა და / ან პოლიტიკაში; ან უფრო მარტივადაც, იმის მიხედვით, თუ რა საკითხში მოხდა ადრინდელი გადაწყვეტილების უარყოფა ან გამოსწორება. დროთა განმავლობაში მეცნიერებმა თანდათან დაიწყეს მუშაობა სამართლიანობის საკითხებზე თავიანთ კვლევებში, თუმცა სამართლიანი ტრანზიციის ფართომასშტაბიანი მიზნისათვის ეს სამეცნიერო სამუშაო არასაკმარისია. სამართლიანი ტრანზიცია საერთო საზოგადოებრივი მიზანია. შესაბამისად, კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებში მოღვაწე მეცნიერთა ჯგუფებმა ერთად უნდა იფიქრონ და სამართლიანი ტრანზიცია საერთო მიზნად დაისახონ.

ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უფრო მეტად გაერთიანებული სტრუქტურიზებული გეგმა კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვით სამართლიანობის საკითხებში. საჭიროა იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლიანი ტრანზიციის შესახებ დებატები და მათი გავლენა პოლიტიკის წარმოებაზე არ გადაიქცევა კიდევ ერთ რიგით

პოლიტიკად, რომელსაც ტრადიციული ეკონომიკური აზროვნება „დაამახინჯებს“. საზოგადოებრივი მიმღებლობა და გათვიცნობიერებულობა სამართლიანი ტრანზიციასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებამაც დაუჭიროს მხარი და იმოქმედოს ამგვარი სამართლიანობის მისაღწევად. სამართლიანი ტრანზიციის კონცეფციას კი, რომელიც აერთიანებს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სფეროებს, თავის მხრივ შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს საზოგადოებრივი მიმღებლობა და გაცნობიერებულობა.

საზოგადოებისთვის დრო აღარ იცდის და მოცემულ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი პრობლემათა უმეტესობა კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვით სექტორებს უკავშირდება, აუცილებელია დაჩქარებული სამართლიანი ტრანზიცია. უნდა დაისვას კითხვა, თუ რას მიაღწია დღემდე კლიმატის, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის ფორმებმა? ენერგო-სამართლიანობა ახალი კონცეფციაა. ეს კი საკმაოდ უცნაურია, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ენერგეტიკის სექტორია უმთავრესად პასუხისმგებელი კარბონ დიოქსიდის (CO2) გამოყოფაზე, რაც არის კიდეც კლიმატური და გარემოსდაცვითი სამართლიანობის სამეცნიერო სფეროების მთავარი ფოკუსი. მეტიც, ეკონომიკის არაერთი სექტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ენერგიის ისეთ წყაროებთან, როგორიცაა ტრანსპორტი, ინდუსტრია და ადამიანური ენერგიაც კი (საკვებისაგან მიღებული ენერგია, რომელიც მოგვეწოდება ენერგო-ინტენსიური სასოფლო სამეურნეო სექტორისაგან). ენერგო სექტორში სამართლიანობის გათვალისწინება აშკარად მივიწყებული საკითხია. დიდი ენერგეტიკული კომპანიებისა და ეკონომიკის დომინანტურობა შესაძლოა ხსნიდეს, თუ რატომ არ დასმულა ეს საკითხი აქამდე (ენერგო-სამართლიანობის განვითარებასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი ანგარიშის გასაცნობად იხ. Heffron and McCauley (2017)). სამართლიანი ტრანზიციას შეუძლია ამ საკითხების ახსნა და კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვით სამართლიანობის მეცნიერებეთა გაერთიანება.

სამართლიანობა	სამართლიანობა 3 სახით ვლინდება: გადანაწილებითი პროცედურული რეკონსტრუქციული
საყოველთაოობა	საყოველთაოობა სამართლიანობის 2 უნივერსალურ ფორმას იღებს: ცნობა / აღიარება კოსმოპოლიტიზმი
სივრცე	სივრცე მოიცავს ადგილმდებარეობას. სად ხდება „მოვლენა“? (ზოგადად, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე)

დრო	დრო გულისხმობს ტრანზიციის ქრონოლოგიას (მაგ. 2030, 20150, 2080 და ა.შ.) და ენერგო-ტრანზიციის „სიჩქარეს“ (მაგ. საკმარისად სწრაფად ხდება ტრანზიცია?)

სქემა #2.
სამართლებრივი გეოგრაფიის „სამართლიანობის“ სქემა სამართლიანი ტრანზიციისათვის.
წყარო: აგებულია ავტორების მიერ (2017).

აქ წამოყენებულია მოსაზრება, რომ სამართლებრივი გეოგრაფია აერთიანებს სამართლიანი ტრანზიციის სქემის ორ საკვანძო დისციპლინას. ამიტომაც მას შეუძლია ბევრად რეალისტური კვლევითი დასკვნებისა და, შესაბამისად, მეტად მიღწევადი კანონმდებლობისა თუ პოლიტიკის შემუშავება. სამართლიანი ტრანზიციის კვლევითმა სფერომ მაგალითი უნდა აიღოს კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი კვლევების შეზღუდვებიდან და მეტად უნდა ორიენტირდეს შედეგებზე, რამდენადაც ტრანზიციის სიჩქარე და ტემპი გლობალურ დონეზეა უმთავრესი საზრუნავი (Figueres et al., 2017).

კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვით სამართლიანობის გაერთიანების მთავარი უპირატესობა იქნება ის წვლილი, რომელსაც მათი ერთიანობა შეიტანს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობისა და უსამართლობის შემცირებაში, ვინაიდან სწორედ ამ სამ სფეროსთანაა დაკავშირებული საზოგადოების ზემოხსენებული პრობლემები. მათი გაერთიანების მიზანი კი სამართლიანი საზოგადოებრივი ტრანზიციის მიღწევაა. სამართალსა და გეოგრაფიას აქვთ უთანასწორობის და უსამართლობის კვლევის დიდი ისტორია და გამოცდილება. ამიტომაც დროა უზრუნველვყოთ მათი ჩართულობა კლიმატის, ენერგო და გარემოსდაცვითი საკითხების დებატებსა და ტრადიციული ეკონომიკური აზროვნების დომინანტურობის შემცირების საქმეში. ამ სამი სექტორისა და მათივე პოლიტიკის სტატუს-კვო გამოწვევის წინაშე უნდა დადგეს კვლევისა და პრაქტიკის საშუალებით. კლიმატური, ენერგო- და გარემოსდაცვითი სამართლიანობის მკვლევრებმა უნდა შეიმუშაონ უფრო ფართომასშტაბიანი - სამართლიანი ტრანზიციის - ხედვა, თავიანთი საქმიანობის შესაძლო შედეგები კი დაბალანსშირბადიან ეკონომიკაზე სამართლიან ტრანზიციას დაუკავშირონ.

გამოყენებული ლიტერატურა

Atkinson, A.B., 2015. Inequality: What can be Done? Harvard University Press, MA, US.

Agyeman, J., 2014. Global environmental justice or Le droit au monde? Geoforum 54 (July), 236–238.

Blacksell, M., Watkins, C., Economides, K., 1986. Human geography and law: a case of separate development in social science. Prog. Hum. Geogr. 10 (3), 371–396.

Blomley, N.K., 1994. Law, Space, and the Geographies of Power. Guilford Press, New York, US.

CAFOD, 2017. UK Support for Energy in Developing Countries. Available at: <https://cafod.org.uk/content/download/27353/269740/version/2/file/Policy%20briefing%20UK%20Support%20for%20Energy%20in%20Developing%20Countries%20Oct%202015.pdf> (last accessed August 2017).

Caney, S., 2014. Two kinds of climate justice: avoiding harm and sharing burdens. J. Polit. Philos. 22 (2), 125–149.

Capek, S., 1993. The "Environmental Justice" frame: a conceptual discussion and an application. Soc. Problems 40 (1), 5–24.

Carbon Brief, 2017. Six charts show UK's progress on low-carbon energy slowing down (31 July 2017). Available at: <https://www.carbonbrief.org/six-charts-show-ukprogress-on-low-carbon-energy-slowing-down> (last accessed August 2017).

Chancel, L., Piketty, T., 2015. Carbon and Inequality: From Kyoto to Paris. Paris School of Economics (November 2015).

Delaney, D., 2003. Beyond the word: law as a thing of this world. In: Holder, J., Harrison, C.E. (Eds.), Law and Geography. OUP, Oxford, UK, pp. 67–84.

Department of Business, Energy & Industrial Strategy (BIES)/United Kingdom Statistics Authority (UKSA), 2017. UK

Energy in Brief 2017. Available at: <https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/631146/UK_Energy_in_Brief_2017.pdf> (last accessed August 2017).

Figueres, C., et al., 2017. Three years to safeguard our climate. Nature 546 (7660), 593–595 (29 June 2017).

Forsyth, T., 2014. Climate justice is not just Ice. Geoforum 54 (July), 230–232.

Heffron, R.J., McCauley, D., 2017. The concept of energy justice across the disciplines. Energy Policy 105, 658–667.

Jamal, T., Hales, R., 2016. Performative justice: new directions in environmental and social justice. Geoforum 76 (November), 176–180.

McCauley, D., Heffron, R.J., Stephan, H., Jenkins, K., 2013. Advancing Energy Justice: The triumvirate of tenets. Int. Energy Law Rev. 32 (3), 107–110.

Piketty, T., 2015. The Economics of Inequality (translated by Goldhammer, A.). Belknap Press of Harvard University Press, MA, US.

Rist, G., 2016. (Translated by Camalier, P). The History of Development: From Western Origins to Global Faith, fourth ed. Zed Books, London, UK.

Scheidel, W., 2017. The Great Leveler. Princeton University Press, NJ, US.

Stiglitz, J.E., 2012. The Price of Inequality. Penguin Books, London, UK.

The Guardian, 2016. Seven climate records set so far in 2016. (17 June 2016 – Adam Vaughan). Available at: <https://www.theguardian.com/environment/2016/jun/ 17/seven-climate-records-set-so-far-in-2016> (last accessed 30 October 2016). This is just a newspaper report connecting to the issue – however, there are many international reports.

Walker, G., Buckeley, H., 2006. Geographies of environmental justice. Geoforum 37 (5), 655–659.